ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1741283

ნომერი: AR1280424

თარიღი : 21.01.2015

გაცემის თარიღი : 18.02.2015

გაცნობის თარიღი : 18.02.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გურამ ფანჯიკიძე , შესახვევი I , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მუსაშვილი პ/ნ 01023003865
- სან-ზონა 2ა კორპ.ბ#31

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.06.2014წ. №1298253 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 22/04/2014წ. AR1209475 განაცხადით მომართა გიორგი მუსაშვილმა და მოითხოვა ტექნიკური შეცდომის გასწორება ამავე

სამსახურის 06.06.2014წ. №1298253 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლისთანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 06.06.2014წ. №1298253 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, ბუდაპეშტის პირველი შესახვევი №6/ ბუდაპეშტის პირველი შესახვევი №8 (ნაკვ.№5/43)/ბუდაპეშტის პირველი შესახვევი №8 (ნაკვ.№5/44), საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N 01.10.14.005.055) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. დამკვეთად დაფიქსირდა გიორგი მუსაშვილი.
ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის Nბ-12/1424725-16 ბრძანებით, ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.06.2014წ. №1298253 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე აშენებული ობიექტი მიღებული იქნა ექსპლუატაციაში.
განმცხადებლის განმარტებით, საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა მითითებული ავტოსადგომის ფართობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
აღნიშნულის გამო, დღეისათვის, დამკვეთი ითხოვს გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში და მიეთითოს ავტოსადგომის ფართობის გასწორებული მონაცემი და დაფიქსირდეს: ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 267.3, შესაბამისად, საერთო ფართობი: 4596.4, სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლისმიერ წარმოდგენილი შეცვლილი მაჩვენებელი შესაბამისობაში მოდის 06.06.2014წ. №1298253 ბრძანებით შეთანხმებული რეკონსტრუქციის არქიტექტურულ პროექტთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.06.2014წ. №1298253 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 267.3, საერთო ფართობი: 4596.4, სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.06.2014წ. №1298253 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლოს ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6),